ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 4 1883—1900 28 თებერვალი

ეს პატივისცემა კი არა დიდი შეურაცხებაა.

ოგორც მაიმუნებმა ისე სალსმაც ხშირად ერთი ერთმანეთის წაბაძვა იცის, მაგრამ რომ ჭკითხოთ მათ, თუ რათ ბაძვენ იგინი სხვებს ამა თუ იმ მოქმედებაში და საქციელში, ამაზე პასუხს ვერ მოგცემენ. უკანასკნელ დროს რუსეთში შეშის ქარხნებში დაიწყეს საპატიო კაცების და ქალების სახის მსგავსი ბოთლების კეთება, აგრეთვე თავსაფრებზე და სუფრებზე ბეჭდავდენ სხვა-და-სხვა საპატიო პირების სახეს. ამისთანა ბოთლებით და საფრებით ზოგიერთები სუფრას ამშვენებენ! მაგალითებრ გამოჩენილი სარდლის სკობელევის სახის და ტანის მსგავსი ბოთლებით ჭიდდენ მაგარ სასმელებს და სხვა შესამჩნევი პირების სურათით ამკობდენ სტოლების გადასაფარებლებს. ამ მექარხნეებს მიბაძეს ზოგიერთმა ჩვენმა ვაჟბატონებმაც და ცხვირსახოცებზე დაახატვინეს ჩვენი გამოჩენილი მწერლები და ცხვირის უწმიდურებას ამ სურათებიანი ცხვირსახოცებით იწმენდენ! რომ ამ პატივცემულ პირთა სატავდენ სუფრებზე, საინებზე და სტაქნებზე, კიდევ იტუვის კაცი, მაგრამ უწმინდურობის საწმენდათ ამისთანა ცხვირსახოცების ხმარება სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ არ გვესმის. არ ვფიქრობთ, რომ ეს საპატიო ჰირნი ნებას მიცემდნენ, რომ მათი სახე დაეხატათ ცხვირსახოცებზედ, რომ შემდეგ ამ ცხვირსასოცებით ეწმინდათ ცხვირის უწმინდურება...

ჩვენ ამ საპატიო ჰირებს არ გამოვესარჩლებით, თუ კი იგინი ეველას ნებას აძლევენ, რომ უწმინდურების საწმედ ნივთებზე სატონ მათი სახე, ნება მათია! მაგრამ შეუძლებლად და უკანონოდ მიგვაჩნია წმინდანების სახის დახატვა ცხვირსახოცებზე და ჰაპიროსის ქაღალდებზე. ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ქუთაისში ჰაპიროსის სახვევ ქაღალდზე დახატულნი წმ. მთავარ-მოწამენი დავით Ⱃ კონსტანტინე. დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე. წმინდანების სახის ასეთი მოპერობა უკანონო მოქმედებად მიგვაჩნია და იმედია სასულიერო მთავრობა ეურადღებას მიაქცევს ამ საშეუსარო მოვლენას და აუკრძალავს ეველას ამ ქაღალდების ეიდვას.

ამბობენ, რომ ჩვენში ძალიერ სასტიკი ცენზურა არისო. მართლადაც სასტიკი ცენზურა არის, მაგრამ სპირად იმისთანა ნაწარმოების შესახებ, რომელსაც სხვაგან ეურადღებას არ აქცევენ და რაც საეურადღებოა, ის ეეურადღებოდ რჩება... ნუ თუ ეოველს ურიას და ან სხვას ნება უნდა ჰქონდეს წმიდანების დახატვის და დასურათებისა უწმიდურების საწმედ ნივთებზე და თეთუნის სახვევ ქაღალდზე? რომელი ქრისტიანე უნდა ეეურებდეს გულ-გრილთ ამ წმიდანების სახეს ქუჩებში დაერილს და ფეხით მათ თელავს?... დროა, დრო ამ საშეუსარო მოვლენას ეველამ ეურადღება მიაქციოს, ვის გულშიაც კიდევ არის კრძალულება და ჰატივისცემა წმიდანებისა და მათი მოდვაწეობის დაფასებისა...

დეკ. დ. დამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის საშლვდელოებების მე-39-ტე კრება ქ. ქუთაისში 15, 16, 17, 18 და 19 დეკემბერს 1899 წ.

გაგრძელება [1])

როდესაც კრების თავმჯდომარე კრების საბაასო კითხვების სიას ადგენდა და მსჯელობა შეიქნა მასზედ, თუ რომელი საგანი აიღონ პირველ საბაასოდ, მაშინ დეპუტატმა მღვდ. ტიმოთე კაპანაძემ განაცხადა:

„მამანო დეპუტატნო! ჩვენ, სხვათა შორის, საეკკლესიო ნივთების საწყობზედაც გვექნება მსჯელობა. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ კომისია ავირჩიოთ და რევიზია მოახდინოს ამ კომისიამ ნივთების საწყობში და მოახსენოს კრებას თავისი აზრი“.

რამდენიმე დეპუტატმა თანხმობა განაცხადა ამ წინადადებაზე და ითხოვეს კომისიის დანიშვნა და მაშინვე წასვლა მისი საწყობში ერთად დეკ. დ. ღამბაშიძესთან.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ჩვენ სრულებით არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა კომისიის დანიშვნის შესახებ. ჩვენის აზრით, ჩვენი ანგარიშიც, რომელსაც ჩვენ ხვალ წარმოუდგენთ კრებას, საკმარისია საქმის გაგებისათვის, მაგრამ რადგან ჩვენში ურევია ისეთი პირნი, რომელთაც საქმის სარგებლობა კი არა აქვსთ სახეში, არამედ პირადი ანგარიშები, ამისათვის ვსთხოვ კრებას დანიშნოს ისეთი პირნი, რომელნიც საქმეს სინიდისიერად ეკიდებიან და არა ისეთი დაინტერესებულნი პირნი, რომელთაც ყველაფერი უკუღმა ეჩვენებათ და წალმართიანად ვერაფერს ვერ ხედავენ.

მდ. ამბ. ფოფხაძე. მომეცით მეც ნება, მამაო თავმჯდომარე. რასაკვირველია, ჩვენ უნდა ავარჩიოთ იმისთანა პირები, რომელთაც ინტერესი ან უკმაყოფილება არა აქვსთ კაცთან, თორემ რაც უნდა კარგად ნაწარმოები ნახონ საქმე, არ შეიძლება არ გაჰკრან და არ წაამეტონ და, რასაკვირველია, ამისთანა პირებმა თვითონაც არ უნდა ინებონ საქმეში გარევა. მაგალითებრ, მე რომ ამირჩიონ კომისიის

*) იხ. „მწყემსი“ № 1—2, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრად, არ წავალ, რადგან ჩვენ უკმაყოფილება გვაქვს.

დეკ. დ. დამბაშიძე. ბატონებო, ნუ სწუხდებით ამდენს. აირჩიეთ კამისია, შეამოწმონ ნივთების საწყობი და კიდეც ჩაიბარეთ. როდესაც საწყობის ხელის მოკიდებას და მართვას ველარავინ ბედავდა, მე მთხოვეთ მისი მიღება და მმართვა-გამგეობა და ჩემი შეცდომა იყო, რომ ხელი მოვკიდე ამ საქმეს. ეხლა შენახველი თქვენი ამგვარი დაფასებისა, რამდენიც უნდა მთხოვოთ, მე არ დავრჩები მმართველად. აირჩიეთ კაცები და საწყობი ჩაიბარეთ და როგორც გინდათ, ისე აწარმოეთ."

აირჩიეს კამისიის წევრებათ მღვდელნი იუსტ. ტაბიძე, მ. დათუნაშვილი და იოაკიმ მოდებაძე.

თავმჯდომარე. წაბრძანდით, მამანო, საწყობში და შეამოწმეთ ყველაფერი და მოახსენეთ კრებას. თქვენც წაბრძანდით, უთხრა თავმჯდომარემ დეკ. დ. დამბაშიძეს, საწყობის მმართველს და უჩვენეთ კამიტეტს, რაც საჭირო იყოს.

კრებამ გაისტუმრა თუ არა კომიტეტი საეკლესიო ნივთების საწყობში მმართველითურთ ხსენებული საწყობის შესამოწმებლად, ყველაზე უპირველესად შეუდგა საეპარქიო ქალების სასწავლებლის რჩევის წინადადებათა განხილვას. ხსენებული სასწავლებლის რჩევა ითხოვდა სამღვდელოების კრემისაგან სასწავლებლის წინ ტროტუარის, ქვაფენილის გაკეთებას, რომლის გაკეთებას ვითომც მიუცილებლად ითხოვდა ქ. ქუთაისის თვით-მმართველობა, ქვის იატაკის მაგიერ ხის იატაკის გაკეთებას სასწავლებლის ეკლესიაში და ეკლესიის რემონტს. რჩევა აგრეთვე ითხოვდა რამდენიმე ხარჯის მომატებას სასწავლებლის საჭიროებისათვის. რჩევამ გადმოსცა კრებას განსახილველად და მისაღებად თხოვნა ბ. ბალანჩივაძისა, რომელიც განაცხადებდა, რომ ოთხას მანეთს შესწირავს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ, თუ მას მიენიჭება „მონოპოლია" კანკელის—იკონოსტასის, კეთებისა იმერეთის ეპარქიაშიო. ამასთან რჩევა წინადადებას აძლევდა კრებას, რომ სეფისკვრის გაკეთება მიენდო ერთი პირისათვის, რომელიც ფულს შემოსწირავდა ქალების სკოლას.

ყველა ეს წინადადებანი წაიკითხეს კრებაზე, ბევრიც ილაპარაკეს, მაგრამ განჩინება არც ერთზე არა დადგენილა-რა. კრება მეორე დღისათვის გადიდვა.

მეორე დღეს კრების თავ[illegible] იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკ[illegible] ყურის მ. კელენჯერიძის წინადადებაში[illegible] მამა მ. კელენჯერიძე სთხოვდა კრებას, [illegible] დელოებას დაეცალა მთავარანგელოზის ეკლ[illegible] ოთახები, რომელშიაც დღეს აწყვია საეკლესიო ნივთები. ამ ეკლესიის კრებულს სურს სამრევლო სკოლა გახსნას და რადგან საწყობს აქვს დაკავებული ეს ოთახები, ვერ მოუხერხებია სკოლის გახსნა და თუ ეს ოთახები იქნება დაცლილი, მაშინ დიაჩოქებს გადმოიყვანენ ამ ოთახებში და დიაჩოქების ოთახებს სკოლისათვის მოაწყობენო. მეორე კითხვა მთავარ-დიაკვნის რ. ხუნდაძისაგან შედგენილი ნოტების დაბეჭდვას შეეხებოდა. მესამე კითხვა იმავე მეთვალყურისა წმიდათა დავით და კონსტანტინეს სახელობაზე ძმობის დაარსებას და ჟურნალის გამოცემას შეეხებოდა. ყველა ეს წინადადებანი ძლიერ ვრცლად იყვნენ დაწერილნი და დიდი დროც მოამდომა კრებამ მათ კითხვას. ძმობის დაარსების პროექტის კითხვის დროს ხშირად გაისმოდა აქა-იქ დეპუტატებში მოწონების სიტყვები. დასრულდა თუ არა კითხვა ძმობის ვრცელი წესდების პროექტისა, კელენჯერიძე მიიქცა კრებისადმი მოკლე სიტყვით:

მამა მ. კელენჯერაძე. მამანო დეპუტატნო! მე ამას წინეთ მორიგ სამღვდელოების კრებაზე მოგელაპარაკეთ ამ ძმობის დაარსების შესახებ და ისიც დაწვლილებით მოგახსენეთ, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ჩვენში ამ ძმობის დაარსება. თქვენ მომანდევით მაშინ, რომ მე ძმობის წესდება შემედგინა. მე ბევრი ვიშრომე, ბევრი ვეცადე და შევადგინე ძმობის წესდება ისე, როგორც ჩემის აზრით საუმჯობესო იყო. ეხლა წაგიკითხეთ და ყველამ შეიტყვეთ ამ ძმობის აზრი. თუ მოგწონსთ, მიიღეთ და დაამტკიცეთ და თუ რომელიმე მუხლი არ მოგწონსთ, მითხარით და ამ მუხლს ან მოვშლით და ან ისე გავასწორებთ, როგორც გსურსთ".

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა კრებაში. გთხოვთ, თავმჯდომარეკ, რომ ხუთი წამით კრება დახუროთ. მოვილაპარაკებთ ერთმანეთ შორის და ყველაფერს მოგახსენებთ, სთქვა რამდენიმე დეპუტატმა. კრება ათი წამით დაიხურა. ათი წამის შემდეგ კრება გაიხსნა. როცა თავსმჯდომარემ ჰკითხა კრებას, რას ბრძანებთ, მამანო დეპუტატნო,

რეთ არ გვესმის კიცებთ მამა კელენჯერიძისაგან ტიო ჰირნი ჩ ებას ძმობის დაარსების შესახებ, თუ **დაეხატათ**ვდეს ეს კითხვაო. ებში აქა-იქ გაისმა ხმა, რომ კენჭის

ერი დეპუტატნი სიმონ მჭედლიძე, ტიმოთე კაპანაძე და რამდენიმე სხვა დეპუტატები კენჭის ყრის წინააღმდეგნი იყვნენ და ზოგნი კი კენჭის ყრას ითხოვდენ. დიდი ხმაურობა და ბაასი გამოიწვია ამ კითხვის გადაწყვეტამ. მ. კელენჯერიძე წინააღმდეგი იყო, რომ კენჭის ყრით გათავებულიყო ეს კითხვა. ითხოვენ სიტყვის ნებას თავჯდომარისაგან მღვდელნი ბასილ დოლაბერიძე და პლატონ ცაგარეიშვილი.

მღვდ. ბ. დოლაბერიძე. მე ძლიერ გაკვირვებული ვარ კრების საქციელით ამ კითხვის გარდაწყვეტის შესახებ. მე როგორც მახსოვს, მ. კე—ძემ ამას წინეთ კრებაზე აღძრა კითხვა ძმობის დაარსების შესახებ. სამღვდელოებამ მიანდო მას წესდების შედგენა. კაცმა იშრომა, იმაცადინა და წესდება შეადგინა, წავიკითხეთ და ზოგიერთები ვაშას იძახოდით და ახლა ამბობთ კენჭის ყრით გავათავოთო. ეს როგორ შეიძლება? თქვენ რაც მიანდეთ, მან შეასრულა და ახლა რა დროსია კითხვის აღძვრა კენჭის ყრით გათავდეს ეს კითხვა თუ უკენჭეთო. ერთჯერ გარდაწყვიტეთ და ახლა უარს ამბობთ? მე არ მესმის სწორეთ ესეთი მსჯელობა!...

დეკ. ბლატონ ცაგარეიშვილი. ზოგიერთები ამბობენ, რომ კრებამ გარდაწყვიტა წინეთ ამ ძმობის წესდების მიღებაო, მაგრამ ეს ტყუვილია. ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, რომ შეადგინოს ძმობის წესდების პროექტი და წარმოადგინოს შემდეგ კრებაზე განსახილველადო; ჩვენ განვიხილეთ, მაგრამ დამტკიცება მისი და მიღება ჩემ მარწმუნებელთა დაუკითხავად მე არ შემიძლია. მე დიდის კმაყოფილებით მოვაწერ ხელს, მაგრამ ჩემი მარწმუნებლების მაგიერ მაგ წესდების მიღება და დამტკიცება არ შემიძლია, რადგან ისეთი მუხლებია შიგ, რომ იმას სამღვდელოება არ მიიღებს. ვის რათ ეშინია, რომ ეს კითხვა კენჭის ყრით გათავდეს? აქ ბევრს მორიდება აქვს, თორემ სულ სხვას იტყვიან".

შეიქნა ერთი ხმაურობა. ზოგი იძახის კენჭით გათავდეს ეს კითხვა, ზოგი კი წინააღმდეგია კენჭისა. მამა მ. კელენჯირაძემ განაცხადა, რომ თუ კრებას არ სურს ამ წესდების მიღება, მე უთქვენოთაც წარვადგენ დასამტკიცებლად, მაგრამ ბევრი თქვენგანი ინანებს, რომ მოაკლდება იმას, რასაც მიიღებს მაშინ, თუ ხელს მომიწერს წევრობაზე... ამ დროს სიტყვა ითხოვა დეკ. დ. ღამბაშიძემ.

დეკ. დ. დამბაშიძე. ჩემდა სამწუხაროდ, მე არ დავსწრებივარ იმ წესდების პროექტის წაკითხვას, რომელმანც ამდენი ლაპარაკი და ბაასი გამოიწვია.

მე მაკვირვებს ზოგიერთი დეპუტატების მსჯელობა კენჭის ყრით კითხვის გადაწყვეტის შესახებ. ზოგიერთები ამბობენ, რომ კენჭის ყრით ამ კითხვის გადაწყვეტა არ შეიძლებაო. კითხვა გამოირკვა კარგად და რატომ არ შეიძლება კენჭის ყრით განჩინების დადგინება. ჩემის აზრით, ამისთანა შემთხვევაშია საჭირო კენჭის ყრა. აქ რამდენიმემ სთქვა, რომ ხათრით ვერ ბედვენ ზოგიერთები თავის აზრის გამოთქმასო. მართლაც ეს ადვილად შეიძლება. ზოგი ნამეტანის ყურადღების დამსახურებისათვის ვაშა, ვაშას იძახის უადგილოდ და უმნიშვნელოდ და ზოგი ხათრით და მორიდებით თავის აზრს გამოთქმას ვერ ბედავს. აი სწორეთ ამისთანა შემთხვევაშია საჭირო კენჭის ყრით გამოთქმა თავისი აზრისა. რაიცა შეეხება თვით ძმობის წესდების პროექტის მიღებას ან მიუღებლობას, ეს კითხვა სულ გარეშეა. სამღვდელოების დეპუტატებს შეუძლიათ იქონიონ მაჯელობა მხოლოდ იმ საგნებზე, რომელნიც გამოცხადებული იყო მღვდელ-მთავრის მიწერილობაში და რომლის განსახილველად იბარებდენ დეპუტატებს. ჩვენ სრულებით არაფერი არ გაგვიგია ძმობის დაარსების შესახებ და არც არაფერი მოლაპარაკება გვქონია ჩვენ მარწმუნებლებთან. ამისთანა საგნებზე მსჯელობის ქონება და გარდაწყვეტა, რომელზედაც მარწმუნებლებისაგან რწმუნება არ გექნება, რასაკვირველია უადგილო და უკანონო არის. სამღვდელოების დეპუტატებმა რა უნდა გადავწყვიტოთ, თუ სამღვდელოებისაგან რწმუნება არა გვაქვს.

რამდენიმე დეპუტატმა შენიშნა დეკ. დავით ღამბაშიძეს, რომ ცირკულიარულ მიწერილობაში ბევრი რამ არ ყოფილა მოხსენებული, მაგრამ კრებას კი ჰქონებია მსჯელობაო. დეკ. დ. ღამბაშიძემ მათ პასუხათ უთხრა შემდეგი:

«სასულიერო სასწავლებლების შესახებ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც არა არის საჭირო, რომ დაწვლილებით მიეწეროს სამღვდელოებას, რადგან სამღვდელოების დეპუტატების კრებები უმთავრესად სასწავლებლების საქმეების შესახებ ინიშნებიან. რაიცა შეეხება ძმობის დაარსებას, რომლის წესდებით ყველა ვალდებულია, რომ წევრად ჩაეწეროს და ვინც არ ჩაეწერება, მას ჯარიმა გადასდეს, ან ვის სამრევლოშიაც სამრევლო სკოლა არ იქნება გახსნილი, იმ მრევლის მღვდელი დაჯარიმდეს, სულ სხვა კითხვაა. ჩემის აზრით, ამისთანა ძმობის წესდებათა პროექტები საქვეყნოდ უნდა იყოს გამოცხადებული ბეჭდვითი სიტყვით. შეიძლება სხვებმა ნაკლულევანება შენიშნონ. თუ ყველასაგან იქმნა მოწონებული, რასაკვირველია, უფრო ადვილად შეიძლება მისი განხორციელება. მე მზად ვარ უფასოდ დავბეჭდო «მწყემსში», თუ ინებებენ მის საქვეყნოდ გამოცხადებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამაზე თანხმობას განაცხადებს პროექტის შემდგენელიც".

რამდენიმე დეპუტატებმა განაცხადა, რომ თუ სამღვდელოებამ მოისმინა ამ ძმობის წესდების პროექტი, იგი არაფრის გულისათვის არ მიიღებს მ ა ს ო.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მაშ მოტყუება გნებავსთ დეპუტატებისა. მაშ ეს იმას ნიშნავს, რომ ძალით გინდათ მოახვიოთ სამღვდელოებას თავზე ის, რაც მას არა ჰსურს. თუ ასეა, ეს ძმობა კი არა, მტრობა იქნება. ძმობა მიტომ ჰქვიან ამისთანა დაწესებულებათა, რომ ვისაც ჰსურს გიძმობს და ვისაც არა—ძალა არა გაქვს უნებურათ ფული ახდევინოთ. უთუოდ უნდა დაიბეჭდოს ეს პროექტი და დაერიგოს სამღვდელოებას და როგორც სამღვდელოება ისურვებს, ისე უნდა დაბოლოვდეს. საქმე ყველამ უნდა იცოდეს, რომ ძმობა ძალადობაზე არ უნდა იქმნეს დამყარებული"...

კრებამ ერთხმად დაადგინა: დაიბეჭდოს ძმობის წესდების პროექტი „მწყემსში" და ცალკე წიგნაკედ და დაერიგოს სამღვდელოებას. ადგილობრივ საბლაღოჩინო კრებებზე იქონინონ მსჯელობა და თავიანთი აზრი გადასცენ დეპუტატებს, რომ მათ შემდეგ მორიგ კრებაზე იქონიონ მსჯელობა ამ საგანზე.



ინგლის-ტრანსვაალის ომი

კარგა ხანია დაწყებულია ინგლის-ტრანსვაალის ომი სამხრეთ აფრიკაში. ინგლისს ეომება ტრანსვაალის და ორანჟეს პატარა რესპუბლიკის ხალხი. თითო რესპუბლიკაში ორასი ათასი მცხოვრები ბურები არის. ეს ბურები არიან ევროპიდან გადასახლებულნი და დამკვიდრებულნი აფრიკის სამხრეთისკენ. ამათ დაუპყრიათ ეს მდიდარი ქვეყნები და დამკვიდრებულან, მაგრამ ინგლისი ყოველ ადგილას იჩენს თავის უფლებას და აქაც, რასაკვირველია, ბატონობა მოინდომა. ბურებს არ მოეწონათ ინგლისის ბატონობა და ამ ერთმა მუჭა ხალხმა ომი გამოუცხადა ინგლისს, რომლის შიში და მორიდება თითქმის ყველა დიდ სახელმწიფოებს აქვს. ბურები ძლიერ მორწმუნე ქრისტიანებია და სწორეთ ისეთი გაბედვით და შეუპოვრად ებრძვის ინგლისელებს, როგორც ძველ დროში საქართველო აუარებელ სპარსელებს და თათრებს ებრძოდა. ყოველი კაცი მოუთმენელად მოელის ინგლის-ტრანსვაალის ომის ამბებს, და დღიურ გაზეთებს თუმცა დიდი მასალა აღმოუჩინა ტელეგრამის ცნობებმა ამ ომის შესახებ, მაგრამ ყველა ტელეგრამას ინგლისელები აცხადებენ, რადგან მხოლოდ მათ აქვსთ ტელეგრაფის მავთულები გაყვანილი აფრიკიდან ამერიკაში ზღვით და ხმელეთით და ხშირად ისეთს ცნობებს აცხადებენ, რომელიც სასარგებლოა ინგლისელებისათვის. ამ უკანასკნელ დრომდე თითქმის ყოველთვის გამარჯვებულნი იყვნენ ბურები და ინგლისელებს ეომებოდნენ მათ ადგილში. უკანასინელ დროს-კი ინგლისი შეშფოთდა, ბევრი ჯარი გაგზავნა და აგერ დაიბრუნეს თითქმის თავიანთი ადგილები. უკანასკნელად ინგლისის 50,000 ჯარი შემოერტყა ერთი ჯენერალის კრონიეს ოთხი ათას ჯარს, მაგრამ ვერაფერი ვერა დააკლო-რა. ბოლოს დამორჩილდა, რადგან სურსათი აღარ ჰქონდა. ამ კრონიეს შესახებ აი რასა სწერენ გაზეთებში;

«როგორც მოსალოდნელი იყო, კრონიეს დამარცხების შემდეგ ბურები იძულებულ გახდნენ ლედი-სმიტისთვის ალყა შემოეხსნათ, და ამ ქალაქში ინგლისელები დაუბრკოლებლად შევიდნენ. დაწვრილებით ცნობები არ მოსულა ჯერ, ნატალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ დასცალეს ბურების ჯარებმა, თუ არა, მაგრამ ეტვს გარეშეა, კიდეც რომ არ დაეცალათ ჯერ, ეს მიუცილებელი იქმნება დღეს თუ არა, ხვალ მაინც. ამნაირად პირველი მოქმედება დრამისა იმით დასრულდა, რომ ინგლისმა თავისი სამფლობელო განათავისუფლა ძალაუნებურად შემოსეულ მტრისაგან და ომის გეგმა დღეის იქით სულ სხვა ვითარებაში ჩადგება. რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს არის ის სანატრელი დღე ინგლისელებისა, როცა სამხრეთ აფრიკაში თავისუფლებას დაჰკარგავს ორი პატარა რესპუბლიკა. პირიქით, ეხლა უფრო თავგამეტებით შეებრძოლებიან ბურები მტერს თავიანთ სამშობლოს დასაცველად და მომავალში უფრო მომეტებულ სისხლის ღვრას უნდა მოველოდეთ ორ მოწინააღმდეგეს შორის. ბურები თუ ასე მედგრად იბრძოდნენ თითონ ინგლისის მიწა-წყალზედ და უკანასკნელი ძალ-ღონე მოაკრეფინეს ბუმბერაზს მოწინააღმდეგეს, თავიანთ ადგილ-მამულში რომ მომეტებულს მამულიშვილობას გამოიჩენენ და უფრო შეუპოვრად მიეგებებიან მტერს, ეს ეტვს გარეშეა. ამას კარგად ჭვრძნობენ თვით ინგლისშიაც და ამიტომ ზოგნი რომ ურჩევენ მთავრობას,— პირველი გამარჯვება ნუ წაგათამამებს და ჯარების რიცხვი გაამრავლეო, ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ დროა მოვურიგდეთ მტერსაო. მაგრამ ინგლისის მთავრობას იმ თავითვე გარდაწყვეტილი ჰქონდა ორანჟ და ტრანსვალი თავისის სამფლობელოსათვის შემოეერთებინა და, ცხადია, თუ კი რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა, თავისას არ დაიშლის, ხოლო ბურები, ვიდრე ძალა თავისას არ გაიტანს, თავიანთ თავისუფლებას არავის დაუთმობენ, და ამნაირად ომის გათავებას ადრე არავინ უნდა მოელოდეს, სხვა სახელმწიფოები თუ არ წაექომაგნენ ბურებს და ინგლისი იძულებულ არ ჰყვეს უკან დაიწიოს.

—გენერალი კრონიე, რომელმაც ისეთი სიმამაცე და ნიჭი გამოიჩინა, რომ 3—4 ათას კაცით 40—50 ათასს ინგლისელების ჯარს გაუმკლავდა, ყველას ენაზე აკერია და ქება-დიდებას უძღვნიან. მტერიც კი დიდად გააკვირვა ამ საოცარმა კაცმა და მთელი ინგლისი იმისს ქებაშია. აი, მაგალითად, რას ამბობს გაზ. „სტანდარდი“ იმის შესახებ: «რაღა თქმა უნდა, გენერალი კრონიე ჩვენი მტერია, მაგრამ ის ისეთი მტერია, რომელთანაც სირცხვილი არ არის ბრძოლა. იმან გამოიჩინა არა მარტო ვაშკაცობა და ენერგია, არამედ საუცხოვო ნიჭიც. ტყუილად როდი ეძახიან მას „პირველ მებრძოლ გენერალს“, და ეს სახელი ჭეშმარიტად დაუმსახურებია“.

„ცენტრალ ნიუს“ის კორესპონდენტს წიგნი გამოუცია, რომელშიაც ნათქვამია: «გენერალი კრონიე პატარა ტანის კაცია და რაოდენადმე ნაზის აგებულებისა. იმას ძლიერ სასიამოვნო პირისახის გამომეტყველება აქვს, მაგრამ ეს როდია მხედრისა და კაცის მკვლელის გამომეტყველება. კრონიეს სახე ამტკიცებს, რომ ის გულკეთილი უნდა იყოს და მეტად უნდა სძაგდეს ძალ-მომრეობა. ის იმდენად არის აღსავსე სიკეთითა და სიმშვიდით, რომ მე გავბედავ შევადარო ის ქრისტეს სახეს, როგორც მას ჰხატვენ ზოგიერთი მხატვრები. საზოგადოდ, როცა მას ვუყურებთ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ იმას მშვიდობიანად უნდა ცხოვრება ყველასთან. კრონიე ცნობილია, როგორც მაგარი ხასიათის კაცი. შიში იმისათვის უცნობია, იგი ბუნებას დაუჯილდოებია იუმორით. კრონიე სამაგალითო მოძრავი კაცია. ბრძოლის დროს, ადამიანს ეგონება, სეეკვასო; ერთს ადგილას გაჩერება არ შეუძლიან. ამასთანავე მას არ აკლია ოსტატობა. მაგრამ იმავე დროს სამაგალითო კეთილი გულის კაცია და ოჯახის პატივისმცემელი. ის რომ ინგლისში ნახონ, საკვირაო სკოლის მასწავლებელი ეგონებათ, და არა ისეთი კაცი, რომელმაც ზედიზედ ოთხ იცის სამხედრო წეს-რიგი. პრეტორიაში იმას ადარებენ ციცინათელას, რადგან ის საოცარის სისწრაფით გადადის ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას“.

„ნოვ. ვრ.“ს კორესპონდენტი იწერება ლონდონიდგან: „ყველა ინგლისელი ჰრგძნობს, რომ რობერტსი თუ გამარჯვებულია, კრონიე გმირია ამ ჟამად. იმას ჰყვანდა მხოლოდ ოთხი ათას კაცამდე და 6 ზარბაზანი ჰქონდა, ხოლო რობერტს 50 ათას კაცამდე და 90 ზარბაზანი. მაგრამ ამ მცირე ჯარით ისე გამაგრდა რაინსეეში, სადაც დაუბრკოლებლად ესროდნენ ყუმბარებს ინგლისელები მთელის ათის დღის განმავლობაში, რომ ვერაფერი დააკლო მტერმაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის საკათედროო ტაძრის განახლების საქმე.

იმ კომიტეტმა, რომელსაც მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განახლების საქმე აქვს მინდობილი და რომლის თავმჯდომარედაც ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონია, უკანასკნელ კრებაზედ მოისმინა მოსკოვია საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების, პეტერბურგის საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის და აკადემიკოსის კონდაკოვის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიხუროს მცხეთის ტაძარი, კომიტეტმა საბოლოოდ გადასწყვიტა დახუროს ეს ტაძარი თლილის ქვით, ამიტომ დაადგინა: 1) დახუროს ეს ტაძარი თლილის ქვით ისე კი, რომ არ შეიცვალოს გარეგანი სახე და განსაკუთრებული თვისებანი ძველებურის შენობისა და არ შეიცვალოს აგრეთვე ქართული არქიტექტურული სახე ტაძრისა.

2) მიენდოს კომიტეტის წევრს გ. ფ. კანდუროვს მოსძებნოს ადგილობრივ კარგი ოსტატები და ქვის მთლელნი, რომელთაც კარგად უნდა იცოდნენ ქვის შენობის აგება. თუ ასეთი ოსტატები აქ არ აღმოჩნდებიან, მაშინ საბერძნეთიდგან იქმნან დაბარებულნი.

3) შეუდგას ქვის ბოძები მცხეთის ტაძარს ჩრდილოეთის მხრიდგან, აგრეთვე შიგნიდგან, თუ ეს საჭიროდა სცნეს. ამისათვის არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც შეადგენენ: დ. ზ. სარაჯიშვილი, გ. დ. ქართველიშვილი, არქიტექტორი ლ. ნ. ბილფელდი, გ. ფ. კანდუროვი, დეკ. ს. შოშიაშვილი და ა. ნატროშვილი.

ამავე კრებაზედ ყოვლად სამღვდელო კირიონმა განაცხადა, რომ ანანურის ტაძრის განახლების დროს ბევრი თლილი ქვა დარჩა, რომელიც შეიძლება გამოდგეს მცხეთის ტაძრისათვის. ამიტომ კომიტეტმა დაადგინა: მოელაპარაკოს დუშეთის მაზრის უფროსს ბ-ნ მესხიშვილს და სთხოვოს მას დახმარება აღმოუჩინოს ამ ქვის გადატანის დროს ანანურიდგან მცხეთაში*).

*) ჩვენს მკითხველებს ეხლომპბათ, თუ რა აზრი გამოგვსთქვით ჩვენ მცხეთის ტაძრის განახლების კომიტეტის ზოგიერთ მოსაზრებათა შესახებ, რომელნიც

სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა.

არიან ისეთი დაწესებულებანი, სადაც ერთი წრე მოსამსახურე პირთა თბილ ადგილს შოვობენ და ამ სახით დდიურად ცოლშვილს ინახვენ, შვილებს ზრდიან და შემდეგ „პენსიასაც“ იღებენ და ამ ნაირად მთელ თავის სიცოცხლეში უზრუნველ ყოფილნი არიან.

მეორე წრე მოსამსახურეთა თუმცა სამსახურის ბოლოს „პენსიას“ ვერ იღებს, მაგრამ სანამ კი სამსახურში არიან კაი ჯამაგირებს იღებენ და ამით დროებით მაინც (обезпечены) ინუგეშებენ თავს. მესამე წრე მოსამსახურეთა პენსიას არ მოელის, მაგრამ სამსახურის დროსაც ყოველ გვარ გაჭირვებას ითმენს. სიღარიბის გამო. მაგრამ ყოველივე გაჭირვებას ითმენენ იმ იმედით, რომ იქნება შემდეგ მაინც გაუდიმოსთ მათ ბედმა და ეღირსოსთ შესაფერი ადგილი და ჯამაგირი. აი ამ მესამე გუნდს მოსამსახურე პირთა უმეტეს ნაწილად ეკუთვნიან სამრევლო სკოლების მასწავლებელნი, რომელთა მდგომარეობა დდეს დდეობით სწორედ სამწუხაროა და შემდეგში დმერთმა უწყის. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთგული და ხანგრძლივი სამსახურისთვის სამრევლო სკოლების მასწავლებელნი ჯილდოვდებოდენ მღვდელობის ხარისხის მიღებით, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ეხლა მღვდელობის ხარისხის მიღება მეტად ძნელი შეიქნა მასწავლებელთათვის, თუ მათ

უმეტესად შეეხებოდა ამ ტაძრის სახურავს. უმეტესი ნაწილი ამ კომიტეტისა იმ აზრის იყო, რომ მცხეთის ტაძარი დახურულიყო სპილენძით. ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრისა და ქვით დახურვას გამჯობინებდით და მასთან ვისურვეთ, რომ ძველი ხასიათი გეგმისა მცხეთის ტაძარს არ დაჰკარგოდა. სწორეთ ამნაირი აზრი მიუღია ხსენებულ კომიტეტს ბ. კონდაკოვისა და მოსკოვის სიმპერატორო არხეოლოგიური საზოგადოებისაგანაც. ოფიციალურ შემთხვევაში კომიტეტი მადლობის დირსია, რომ ასე ფრთხილად მოიქცა, ეველას შეეკითხა და თავის თავზედ არ იდგა ამისთანა სერიოზული საქმის საბოლოოდ გარდაწყვეტა.

რედაქტორი.

დაწესებული «პროგრამმით» გამოცდა არ გადიხადეს. როდესაც ხსენებული «პროგრამმა» გამოიცა, მასწავლებლები დიდი მოხარულნი შეიქნენ, ეგონათ, რომ მარტო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის შემოდებულ იქმნა გამოცდა; მაგრამ დღეს გამოცდის გადახდის უფლება მდვდელობის ხარისხის მიღების შესახებ ეძლევათ როგორც მასწავლებლებს, ისე სამსახურ გარეშე პირთ, რომელთაც კი სადმე ორი—სამი კლასი რისი ვი ვგლახით გაუთავებიათ. მასწავლებლებს სრულიად დრო არა აქვსთ, რომ საეგზამენოთ მოემზადონ ზეფხულში, ორ-სამ თვეს შრომისაგან დადალულ-დაქანცულ მასწავლებლებს დასვენება იგზირვებათ და ესეც რომ არ იყოს ორ-სამ თვეს მომზადება მათთვის არ კმარა და სხვა დრო კი არა აქვსთ თავისუფალი. ამ ნაირად სამრევლო სკოლების მასწავლებლებს ესპობათ გზა მდვდლობისაკენ მათთვის, თუ სხვა რაიმე საშვალება არ გამოიძებნა. საჭიროა გამოცდის დროს უურადღება მიექცეს მასწავლებლების სამსახურს, მათ წლოვანებას, წარმატებას სამსახურში და ოჯა-ქცევას. მათ უნდა მიეცესთ უპირატესობა იმ პირთა წინაშე, რომელთაც არაფერი სამსახური არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე. შეიძლება სამრევლო სკოლების ზოგიერთ მასწავლებელთ ერთგული სამსახურისთვის გამოუცდელად მიეცესთ მდვდლობა, თორემ უჯამაგირო და ცოლშვილით დატვირთული მასწავლებლები რა ნაირათ და რა გულით იმსახურებენ სკოლებში, თუ კი სამსახურის დასაწყისიც უნუგეშო ექნებათ და შედეგიც მათ არაფერს არ უქადის. თუ მასწავლებელთა შრომა და სამსახური დაფასდება და დაჯილდოვდება, მაშინ ბევრნი კარგად მომზადებული პირი წავლენ სამრევლო სკოლებში მასწავლებლები. ამ სახით სწავლის საქმე უფრო წარმატებით წავა. ადეს კი უსამუალობისა გამო ისეთი ოვიცი მედავითნეები არიან მასწავლებლებათ ზოგან, რომ მათ ყოლას უეოლობა სჯობია.

ზაათურას სეკეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე.

† მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი

17 ამ თებერვლის თვეს 11 საათზე საქართველოის ექსარხოსის სასახლის ეზოში შემოვიდა განსვენებული მღ. ალექსანდრე მოლოდინაშვილი. შემოვიდა თუ არა ეზოს ბჭის კარებში, ერთბაშად დაეცა. მაშინვე მივარდენ, ასწიეს და დასაჯდომ სკამზე დასდვეს იმავე ეზოში; ეგონათ, რომ თავბრუ დაესხა და გამობრუნდებაო, მაგრამ იმან საუკუნოთ დაიძინა. დაცემა გამოიწვია გულის მოძრაობის შეჩერებამ. გულის მოძრაობის შეჩერების მიზეზი კი გულის სნეულება ყოფილა, რომელიც ორი წელიწადი მოშლილი ჰქონებია განსვენებულს. შეატყობინეს ცოლს და შვილებს, რომელთა მწუხარება თითქმის ყველას ცრემლს ჰგვრიდა...

განსვენებული ძლიერ გულკეთილი კაცი იყო და ძლიერ საყვარელი მწყემსი ყველა თავის სამწყოთათვის. განსვენებულმა კარგად იცოდა გალობა როგორც ქართული, ისე რუსული; დარჩა ცოლი, ორი ვაჟი და ერთი ქალი. განსვენებული ოც ამ თვეს მიასვენეს ანჩისხატის ეკლესიაზე. ამ დღეს განსვენებულის სულისთვის მწირველი ბძანდებოდა ყოველად სამღვდელო ლეონიდი. მათმა მეუფებამ წესის აგების დროს წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება.

განსვენებულს არა ერთხელ შემოუჩივლია ჩვენთვის თავისი ეკკლესიის შევიწროებული მდგომარეობა. სწორედ გასაკვირველი და გასაოცარი არის ამ ეკკლესიის მდგომარეობა და შევიწროება გარშემო მდებარე სახლის პატრონებისაგან. არ გვჯერა, რომ საღმე ისე შევიწროებული იყოს ეკკლესია, ქრისტიანების ქვეყანაში, როგორც ეს ტაძარი. ბევრს ცდილობდა განსვენებული, მაგრამ გარეშემო ადგილის მეპატრონეებმა, რომელთაც უყიდიათ ძველ დროში ამ ეკკლესიის გარშემო სახელმწიფო ადგილები. აღარაფერს გულისათვის არ ისურვეს ეკკლესიის ეზოსათვის დაეთმოთ ცოტაოდენი ადგილი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვეთილმზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული ორს თებერვალს, მირქმის დღეს, თბილისის სამების ეკკლესიაში.

სასელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

წრფელის გულით, ქრისტიანული სიხარულით, და ხალისით შოგილოცავთ, მეორფასნო მსმენელნო, დღევანდელ საუფლო, შესანიშნს და ფრიად სასურველ დღესასწაულსა. გულმსურვალედ და წადიერებით შევთხოვ ჩვენთვის განხორციელებულს იესო ძე ღვთისას, რომ მრავალჯერ დასწრებოდეთ ეველანი ამ სანეტარო დღესასწაულს სიცოცხლით, სიმრთელით, სულიერი მშვიდობა-კმაყოფილებით, ზნეობრივი წინსვლა-აღმატებით და მცნებათა შინა მაცხოვრისათა განმტკიცება-დაწინაურებით!

უნდა ვაღვიარო, რომ თავადაც დიადი და სანეტარო სხიემოსილი შარავანდედი დღევანდელი დღისა, ორკეცდება და მეტად ბრწყინვალდება ამ თქვენი ნამდვილი ქრისტიანული საქციელის გამო. თქვენ, როგორც მჭეერმეტეველურად ადასტურებს ეს არა ჩვეულებრივი სიმრავლე თქვენი კრებისა, სიმრავლე იმ ზომამდე, რომ თქვენ სიცოცხლეში ჰირველად გრძნობთ ამ თქვენი მამა-პაპეული წმიდა ტაძრის სიმციერე-სიეიწროეეს, ცხადია ცხოველად, გარკვეეით და თვალ ნათლად გქონიათ წარმოდგენილი ის შემთხვევა ქრისტეს ცხოვრებიდამ, რომელსაც ბრწყინვალედ იგონიებს დღეს წმ. ეკკლესია და სწორედ ამის გამო, მსგავსად მოხუცებული სეიმონისა და მართალი ანნასი, ქალი და ვაჟი გამოშურებულხართ ეკკლესიაში, რათა დირს იქმნეთ მაცხოვრის მიგებებისა. სწორედ სასიქადულოა ეს თქვენი საქციელი, ჭეშმარიტად შესაფერია იგი თქვენი წოდებისა, ნაქ�eილად გამახარებელია ღვთისა!

მირქმა უფლისა.

დიდსა და ჰატარას დაგივიწუნიათ ოოველდღიურ ცხოვრებაზედ ჩვეულებრივი მზრუნველობა, მოგიშორებიათ თაყიდან მხოლოდ სხეულზედ და კუჭზედ ფიქრი და წუხილი, გამოჰქცევიხართ იმ გულ შემხუთავ და სულის შემავიწროებელ ჰაერს, რომელიც გაჭირბოროტებთ ოოველ წამს და ეველანი უკლებლივ მოსულხართ ეკკლესიაში იმ აზრით, რომ აქ თავისუფლად მოითქვათ სული, ამაღლდეთ ზეცამდე სულიერი არსებით, განიკურნოთ მრავალ გვემული გული თქვენი საღმრთო მადლითა, დაიმშვიდოთ ღვთის მცნების შეგნებაღსრულებით ცოდვებისაგან გაწბილებული სვინიდისი, გაინათლოთ და განიწვრთნათ შეცდომათაგან დაბნელებული გონება ჭეშმარიტი მეცნიერებით. ამაზე მეირფასს, ამაზე მაღალს, ამაზე გამაკეთილშობილებელს და სათანადო საქმეს ვერც მოიგონებთ და ვერც აასრულებთ. ამგვარი თქვენი ეოფაქცევით ნამდვილ დღესასწაულს უმართავთ თქვენს ზეციურ მამას, რომელსა არავისი ჭნებაკს წარწუმედა, არამედ ეოველთა სინანულად მოსვლად (ბ. კათოლ. პეტრ. 3, 9) მხარულ ჭეოფთ მხსნელსა და მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტესა, რომელიცა მეოხ არს ჩვენთვის (რომ. 8, 35), შესმენთ უმაღლეს სიხარულს სული წმიდას, რომელი თანაშეეწევის უძლურებათა ჩვენთა და მეოხ არს ჩვენთვ-ს სულ-ქმითა მით უსიტყველითა (რომ. 8. 27), განაცხარებთ ანგელოზთა და შეჭმატებთ ნეტარებას თქვენი გარდაცვალებულების სულებს, რომლებიც ხედავენ მუდამ თქვენს საქციელს.

სწორედ სამოთხედ ჩაითვლებოდა დღევანდელი ჩვენი გაჭირბოროტებული და გამწარებული ცხოვრება, რომ ეოველთვის და ეველანი ასე საქმეურად ვიქცეოდეთ, ასე გულმოდგინეთ ვეგებებოდეთ ეოველ საუფლო და წმინდანების დღესასწაულებს. მაშინ მოისჰობოდა ჩვენ შორის და გაჭქრებოდა სრულებით ის უაზრო და წრეს გადასული ლხინი, რომელსაც ეხლა ასე ხშირად ვხედავთ ხოლმე კვირა-უქმეების დროს, მაშინ ალაგი აღარ ექნებოდათ ცხოვრებაში იმ უშვერ სიტყვებს, ერთმანეთის შეურაცხებას და ათას გვარ ზნეობრივ ბინძურობას, რომლებითაც, სამწუხაროდ, განსაკუთრებით ადნიშნავენ ხოლმე დღეს ქრისტიანები საუფლო დღეებს, მაშინ წარმოუდგენელი-და იქნებოდა ის ჩვენი დამღუპავ-დამანელებელი უდებობა და უსაქმურობა, რომელსაც ვემლვეით ხოლმე სწორეთ ამ დღევანდელისთანა დღეებში, ერთი სიტყვით, მაშინ დასცხრებოდა ჩვენ შორის ეოველი ბოროტება, მოისჰობოდნენ მრავალნი უკეთურებანი და, თანახმად ფსალმუნის სიტყვებისა, ჭეშმარიტად მცირე რაჲმე დაკლებულ ვიქნებოდით ანგელოზთა (ფს. 8, 3).

აი ამგვარი სიკეთის შემენას გვიქადაგებს მუდამ ეკკლესია და ამ ბედნიერების შესამენ გზა-კვალს გვასწავლის, გვიჩვენებს და თვალწინ გვიეენებს იგი დღესაც იესო ქრისტეს მიკებების მოგონებით.

ნურასოდეს ნუ იფიქრებთ, რომ მარტო მოხუცებულ სვიმეონს და მართალ ანნას ჰქონოდეთ ბედნიერება იესო ქრისტეს მიგებებისა, ქრისტეს ხილვისა, მისი შეხებისა და ამის გამო მრავალი სიკეთის შემენისა. არა, საქმე ასე არ არის, ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს-რა სვიმეონის და ანნას შესანატრი;

თუ გნებავთ, ჩვენ უბედნიერესნიცა ვართ ორთა-ვეზედ; ეოველთვის შეგვიძლიან მიგვეგებნეთ მაცხოვარსა, ეოველთვის შეგვიძლიან ეოფნა მისს ახლო, თვითონ იგი ვიეოლიოთ განუშორებელად ჩვენთან, ჩვენ შორის: სადაცა იეკნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსაო, ბძანებს ის, რომლის სიტეკვაც იმდენად შეურეეველი და მტკიცეა, რომ შესაძლოა ცანი და ქვეეანა წარსდგენ, ხოლო სიტეკვანი მისნი არა სადა წარსდგენ (მარკ. 13, 31); მაშასადამე, ცხადი და უცილობელია, რომ როდესაც ჩვენ ვიკრიბებით ეკკლესიაში სალოცავათ, ეოველთვის ჩვენთან, ჩვენ შორის აუცილებლივ იმეოფება იგი, რომელსაც დღევანდელ დღეს ოდესმე მიეგებნენ სვიმეონი და ანნა. ცხადი და ეოველსავე ეჯუს გარეშეა აგრეთვე, რომ ამ წამშიაც, როდესაც ვიმეოფებით არა ორნი და სამნი, არამედ ორას-სამასნი, როდესაც მოვსულვართ ღვთის სახელის სახსენებელად არა მარტო ჭასაკის მქონებელნი, არამედ მცირე წლოვანი ერმებიც, ქრისტე იმეოფება ჩვენ შორის, ხედავს იგი ლმობიერების თვითეულ ცრემლს, ეურს უგდებს გულშემუსრვილობის კვნესას, ისმენს ჩვენს ლოცვა-ვედრებას და იცის ეველას ბედნიერებაც და უბედურებაც. მაცხოვარი ამ წამს იმეოფება ჩვენთან, იგი ხვალაც აქვე იქნება, თუ ჩვენ თვითონ არ დავითხოვეთ იგი, არასოდესაც არ მოგვშორდება, თუ კი ჩვენ მოვისურვებთ ამას, თუ კი მასთან ეოფნას მეირფასად მივიჩნევთ, თუ კი მასთან სიახლოვეს ბედნიერებათ ჩავთვლით!

მართალმა სვიმეონმა მხოლოდ ხელში აიეანა მაცხოვარი, მხოლოდ მკლავით, ე. ი. გარეგნათ შეეხო მას და თვითეულს ჩვენგანს კი აქვს ნამდვილი და უებარი საშუალება არამც თუ მარტოოდენ მაცხოვართან მიახლოებისა ⁄ შეხებისა, არამედ მასთან შეერთებისა მთელი არსებით. რომელი სჯამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთან დადგრომილ არს და მე მისთანაო (იოან. 6, 56), ბრძანებს ეოველადვე ჯეშმარიტი მეუფე ⁄ ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე. რადა გვაქვს, მაშასადამე შესანატრი სხვებისა, როდესაც ჩვენ თითონ უნდა შეძოგვნატრიდნენ ეველანი, რადგანაც მრავალთა წინასწარმეტყველთა და მეფეთა უნდა ხილვა, რომელსა ჩვენ ვხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი ჩვენ გვესმის, და ვერ ესმა (ლუკ. 10, 24)? ჩვენ გვაკლია მხოლოდ ამ ჩვენი განსაკუთრებითი, ამ ჩვენი უპირატესი ბედნიერების სრული შეგნება, მისი ნამდვილი, ცხოველი და ცხადი გათვალისწინება, მისი განუშორებელი ზიდვა სულითა, მისი მტკიცე აღმონჯდევა გონებაში, მისი აღმოუფსვრელი დანერგვა გულის სიღრმეში. გულმხურვალეთ შევესხენეთ, ბეჯითად შევეედრნეთ და ვთხოვოთ ეხლა აქ, ჩვენ შორის მეოფ მაცხოვარს, რომ მოგვანიჯოს მან სრული შეგნება ჩვენი განსაკუთრებითი ბედნიერებისა, რათა ამისა გამო მოგვეცეს საშუალება მოვსეოთ ჩვენ შორის ეოველი სიმწარე და რისხვა, და გულის წურომა, და დადდება, და გმობა ეოველითურთ უკეთურებით (ეფეს. 4, 31).

ეპისკოპოზი გორისა, ლეონიდი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა,

თქმული 20 თებერვალს, ანჩისხატის ტაძარში, განსვენებული მღვდლის ალექსანდრე მოდოდინაშვილის ანდერძის აგებაზედ.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მწარე და თავზარ დამცემია სიკვდილის სახელის გაგონება, შემაწუხებელი და შემაძრწუნებელია მისი ხსენება! სიკვდილი! ეს ხომ მართლა თავზედ დაცემული მეხია! ეს ხომ ის საშინელი მოვლენაა, რომელიც უდროვ-უდროვოდ აობლებს, აკლებს მშობელთა ალერსს და სიყვარულს, დედ-მამის მზრუნველობას და გულ-შემატკივრობას, სტოვებს ულუკმა პუროდ, უმწეოდ, უპატრონოდ და უნუგეშოთ, ჯერ ისევ ქორფა, უსუსურ და მცირე წლოვან ქმნილებათა! ეს ხომ ის საზარელი მოვლენაა, რომელიც სიცოცხლეს უნახევრებს, უმწარებს, გულს უკლავს და სჩაგრავს მშობლებს საყვარელი შვილის ხელიდამ გამოცლით! ეს ხომ ის შემაძრწუნებელი ძალაა, რომელიც აქარწყლებს, ანადგურებს და მიწასთან ასწორებს ოჯახის ბედნიერებას მეუღლეთა გვირგვინის გაწყვეტით, შესისხლ-ხორცებულ, შეთვისებულ, ერთ-ურთის სიყვარულით გამსჭვალულ ქმრისა და ცოლის სამუდამოდ განცალკევება—გაყრით! ოჰ, ვინაა ისეთი ბედნიერი, რომ სიკვდილს არ გამოეცდევინებინოს მისთვის თავისი სიმწარე? სად იქნება ისეთი ოჯახი, რომ სიკვდილს არ დაეკაკუნებინოს მის კარზედ, არ მოეშხამოს მისი წევრების სიტკბოება, არ შეემოსოს შავებით ქმარი საყვარელ ცოლზედ, ან ცოლი ძვირფას ქმარზედ?

დიაღ, ყველას ატირებს, საშინლად აგმინებს და მწარედ აკვნესებს სიკვდილი, მაგრამ მეტად აუტანელი და მოუნელებელი ხდება იგი, როდესაც მას წინ არ უძღვის ავადმყოფობა, როდესაც მოევლინება ადამიანს უცბად, მოულოდნელად, წარმოუდგენელი სისწრაფით და მეტადრე გარეშე საკუთარი ოჯახისა, გარეშე საკუთარი ჭერისა. ამ გვარ შემთხვევაში ჭირისუფლებს სული უწუხთ და გული სწყდებათ, რომ მათ არ მიეცათ შემთხვევა ჯეროვანი პატრონობა გაეწიათ ძვირფასი მიცვალებულისათვის, ეხმარათ შესაძლო სახსარი მის მოსარჩენათ; მიცვალებულის პატრონებს ის სწვავთ და ამწარებთ, რომ უეცარი სიკვდილის გამო მიცვალებული ვერ ეღირსა წ. საიდუმლოს მიღებას, ვერ გამოეთხოვა საყვარელ ნათესავებს, ვერ მისცა უკანასკნელი დარიგება თავისს ოჯახობას, ვერ გაუზიარა მას თავისი ჭირ-ვარამი, ვერ გადასცა ვერავის თავისი ანდერძი. აი სწორედ ესეთი უცები, მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჰხვდა ჩვენ წინ მდებარე მიცვალებულსაც. ამის გამოა, რომ მისი ოჯახობა შეუპყრია მეტად ღრმა, უსაზღვრო და ფართო მწუხარებას; ესაა მიზეზი, რომ მიცვალებულის ნაცნობებსაც მოგვდებია მოუნელებელი ცეცხლი და საბრალის ქვრივ-ობლებთან ერთად ვღვრით ცრემლთა ნაკადულს. მამა ალექსანდრემ განუტევა სული ერთი თვალის დახამხამებაში, მამა ალექსანდრე გარდაიცვალა საქმიანობაში, მამა ალექსანდრე გარდაიცვალა ქუჩაში, მამა ალექსანდრე მიასვენეს თავისს ოჯახში, თავის ძვირფას ცოლი-შვილში უსულო, მკვდარიღა!

აი რა მოულოდნელი მეხი დაასკდა განსვენებულის ოჯახს, აი რა გვარი ცეცხლი და ვარამი უნდა მოინელოს მამა ალექსანდრეს დაობლებულმა სახლობამ, რა გვარი შემაწუხარი გარემოების თანამოზიარენი ვართ ყველა აქ მყოფნი!

მაგრამ შევიმაგროთ თავი! კმარა ტირილი და ცრემლთა ღვრა!

მამა ალექსანდრე გაგვშორდა, გაგვეყარა, გამოგვესალმა, მაგრამ მისი მშვიდობიანი, მოსიყვარულე, პატიოსანი, ყველასათვის კეთილის მსურველი და უანგარო სიყვარულით აღვსილი სახელის ხსენება დაუვიწყარი და მოუშლელი იქნება მისს ნაცნობთა

შორის; მისი მღვდელობითი პატიოსნება, მისი თავდადებულება მრევლისათვის, უკანასკნელ დღემდე უმწიკვლოდ და შეუბღალავად აღსრულება სამსახურისა ეჰვს გარეშე ჰყოფენ ჩვენთვის იმ აზრს, რომ მამა ალექსანდრე კარდაცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად და, რაშედმანტ აქა, კაცთა შორის, სულიერითა პატივითა შეამკო, იგივე აღრაცხავს მისს სულსა ეოგელთა წმიდათა თანა.

დაიმარხე ეს ჭეშმარიტება გულში, საბრალისო ქვრივო, და გაჯეროდეს, რომ ჰპოებ მასში საკმარის ნუგეშს და გამამხნევებელ ძალას. დარწმუნდი მტკიცედ, რომ შენს ალექსანდრეს დაედგა დღეიდგან გვარგვინი სიმართლისა, და, გამხნევებულმა ამით, იზრუნე სწორეთ ეხლა გაუწიო მას ჭეშმარიტი მეუღლეობა, ეცადე, რომ არაფრით არ შეილახოს შენი ქმრის პატიოსანი სახელი, გაუწიე მამობაც და დედობაც უმამოდ დარჩენილ, ჯერ ისევ გამოსაზრდელ, შენ შვილებს, აღზარდე იგინი ისეთი პატიოსნებით, როგორიც შეჰფერის მათი მამის სახელს.

ხოლო თქვენ, განსვენებულის პატივის-მცემელნო, ნაცნობნო, მეგობარნო და მოწაფენო, შეადეგრეთ თქვენი ძვირფასი მოძღვრის სული უფალსა, მიუტევეთ ყველამ, თუ ვისმეს მოგაგონდებათ მისგან რამე ნაწყენობა, გამოსთხოვეთ მასაც შენდობა თქვენი დინაშაულობისა და, თუ გსურთ მისი ნამდვილი პატივის ცემა, ეცადეთ გ•ნახორციელოთ თქვენს ცხოვრებაში ის ქრისტიანული სწავლა მოძღვრება, რომლითაც გატკბობდათ ხოლმე განსვენებული საღმრთო მოქმედებათა აღსრულების დროს. ამინ.

ლეონიდი, ეპისკოპოზი გორისა.

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის.

გაგრძელება.

როცა მღვ.-მთავარი ამბიონიდან გადასახავს ჯვარს მდგომარე ერს და საკურთხეველში შევა, მღვდლები ემთხვევიან ხატებს—მარჯვნით მდგომარენი მაცხოვრის ხატს, მარცხნით მდგომარენი მღვთის-შობლისას—, და შევლენ საკურთხეველში სამეუფო კარებით. აქ ტრაპეზსაც ემთხვევიან. სანამ მღვდელ-მთავარი საკურთხეველში აკმევს, თანამწირველნი ტრაპეზის გარეშე დგანან, ხოლო როცა ტაძარში გამოვა საკმევად, თვის თვის ადგილებს დაიკერენ.

პირველ გზის „წმიდაო ღმერთოს“ გალობის გათავების შემდეგ, მეორე თანამწირველი აღიღებს ტრაპეზიდან ჯვარს და მიართმევს მღვდელ-მთავარს, იპყრობს რა ჯვარის ფეხს მარჯვენათი, ხოლო მარცხენას წვეროში მოჰკიდებს, მღვდელ-მთავრის საკურთხეველში შემობრუნების შემდეგ, იგივე მღვდელი ჩამოართმევს ჯვარს და თვის ადგილზე დაასვენებს.

როცა მღვდელ-მთავარი ტრაპეზიდან მაღალ დასაჯდომელისაკენ წამოვა, მღვდლებიც ემთხვევიან ტრაპეზს და გამოჰყვებიან მღვდელ-მთავარს: უფროსნი გვერდით, უმცროსნი მათ შემდეგ. სამოციქულოს კითხვაში მღვდლებიც დაჯდებიან, ხოლო არქიდიაკვნის მიერ მღვდელ-მთავრისა და მათდამი კმევის დროს ფეხზე წამოდგებიან. სამოციქულოს გათავების შემდეგ უფროსი თანამწირველი მოიდრეკს თავს მღვდელ-მთავრის წინაშე, მივა ტრაპეზთან, აიღებს სახარებას და მისცემს არქიდიაკონს; შემდეგ დადგება ისევ თვის ადგილზე და თაყვანს ცემს

*] იხ. „მწყემსი“ № 3, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელ-მთავარს. სახარების შემდეგ მივლენ პირველი ორი თანამწირველნი და ამოსდებენ ხელს მღვდელ-მთავარს მკლავში მაღალი დასაჯდომელიდან ჩამოსაყვანად, ხოლო როცა მღვდელ-მთავარი დადგება არწივზე, მათ ჯვარს გადასახავს, ისინი თაყვანს ცემენ მას და შემდეგ ჩადგებიან რიგში სხვა თანამწირველთათანა.

მრჩობლი კვერექსის თქმაში, როცა დიაკონი იტყვის: „მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უმართებელესისა სინოდისა....", თანამწირველთა კრებული გალობს „უფალო შეგვიწყალენს" და თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს; ამის შემდეგ პირველი ორი უფროსი თანამწირველნი გაშლიან ოდიკს ზედა ნაწილს გარდა და შემდეგ თაყვანს ცემენ მღვდელ-მთავარს:

კათაკმეველთა კვერექსის თქმაში, როცა დიაკონი იტყვის: „და გამოუცხადოს მათ სახარება სიმართლისა", მესამე და მეოთხე თანამწირველნი გადასწევენ ოდიკის ზედა ნაწილსაც და ამის შემდეგ თაყვანს ცემენ ტრაპეზისა და მღვდელ-მთავრისა მიმართ. კათაკმეველთა კვერექსის დასასრულს ასამაღლებელს: „რათა და ესენიცა ჩვენთანავე ადიდებდენ...." უფროსი თანამწირველი იტყვის, ხოლო შემდეგ ასამაღლებელს: „რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება...." მეორე მღვდელი. მესამე ასამაღლებელს „რათა ძლიერებითა შენითა ყოვლადვე დაცულნი..."ს კი თვით მღვდელ-მთავარი ბძანებს.

როცა მღვდელ-მთავარი „რომელნი ქერუბიმთა" გალობს სამ გზის დაასრულებს, მივა სამკვეთლოსთან უმცროსი მღვდელი, დადგება მარცხნით და უცდის აქ მღვდელ-მთავრის მობძანებას; მანამდი დააწყობს ლანგარზე ცოცხალთა და მიცვალებულთა სეფისკვრებს და ლახვარს, რომელსაც წვერი მარცხნისაკენ უნდა ექმნეს მიქცეული. როცა მღვდელ-მთავარი მიუახლოვდება სამკვეთლოს, უკმევს წმ. ძღვენთა და ახდის დაფარნებსა და ვარსკვლავს, მაშინ მიართმევს უმცროსი მღვდელი პირველად ცოცხალთა სეფისკვერს. ამ დროს მოვლენ სხვა თანამწირველნი ტრაპეზის წინ, ყველა ერთად, ემთხვევიან ოდიკს, თაყვანს ცემენ ურთიერთერთარს და წაელენ სამკვეთლოსკენ.

როცა მღვდელ-მთავარი მოიხსენებს ხელმწიფე იმპერატორს, სამეფო სახლობას და უწმ. სინოდს და მათ სახელზე ამოიღებს ნაწილებს, მოვლენ თანამწირველი მღვდლები ერთი მეორის შემდეგ, რიგრიგათ, და თვითეული ემთხვევა მღვდელ-მთავარს მარჯვენა მხარეზე და ეტყვის: „მომიხსენე მე, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მღვდელი (სახელი)". ცოცხალთა მოხსენების შემდეგ უმცროსი მღვდელი მიცვალებულთა სეფისკვერსაც მიართმევს მღვდელ-მთავარს, ხოლო მიცვალებულთა მოხსენების შემდეგ ვარსკვლავსა და დაფარნებს—და თვით წავა ტრაპეზთან და ემთხვევა ოდიკს.

კვეთის შემდეგ, როცა მღვდელ-მთავარი ფეშხუმს დაადგამს თავზე არქიდიაკონს, მივა უფროსი თანამწირველი ბარძიმის მისაღებად და ეტყვის მღვდელ-მთავარს: „მღვდელ-მთავრობა შენი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა ყოვლადვე, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე". ამ სიტყვებითვე მიმართავს მღვდელ-მთავარს მეორე თანამწირველიც, რომელიც აიღებს ტრაპეზიდან ჯვარს და იპყრობს მარცხენა ხელით, ხოლო მარჯვენას ზევით მოჰკიდებს და მიართმევს მღვდელ-მთავარს სამთხვევად. აგრეთვე მივლენ და ეტყვიან სხვა თანამწირველნიც, ხოლო ისინი თვით მღვდელ-მთავრისაგან მიიღებენ სხვა-და-სხვა წმიდა ნივთებს. ამის შემდეგ იქნება ჩვეულებრივი დიდი გამოსვლა, რომლის დროს მღვდლები დგანან ერთი მეორის შემდეგ წყრიალად. ჩვეულებრივი მოხსენების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორისა, სამეფო სახლობისა, უწმ. სინოდისა და მღვდელ-მთავრისა, როცა არქიდიაკონი ხმა ჰყოფს: «მღვდელ-მთავრობა შენი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა....", ყველა თანამწირველნი ამბიონს დაბლა დადგებიან ორ ორი ერთად—უფროსნი წინ, უმცროსნი უკან, ხოლო როცა მღვდელ-მთავარიც მოიხსენებს ფეშხუმზე ხელმწიფე იმპერატორსა და სამეფო სახლობასუფროსი თანამწირველი შედგება ამბიონზე და ეტყვის: „მღვდელ-მთავრობა შენი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა...." და მისცემს ბარძიმს მღვდელ-მთავარს, ხოლო თვით ჩამოვა ამბიონიდან და თვის ადგილს დაიჭერს. როცა მღვდელ-მთავარი ბარძიმზედაც მოიხსენებს უწმ. სინოდს, საქართველოს ეკლესიას და ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთ, მღვდელნი შევლენ საკურთხეველში,—ორ-ორი ერთად—დასდებენ ნივთებს თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ადგილზე და შემდეგ დადგებიან რიგით ტრაპეზის გარეშემო*).

შემდეგ როცა დიაკონი ხმა ჰყოფს: «ვიყვარებოდეთ ურთიერთ არს, რათა ერთობით აღვიარებდეთ“, თანამწირველნი იტყვიან: „შეგიყვარო შენ უფალო, ძალო ჩემო....“, სამ გზის თაყვანის ცემასა ჰყოფენ, მივლენ ტრაპეზთან მარცხნიდან უფროს-უმცროსობით, ჩვეულებისამებრ ემთხვევიან წმ. ძღვენთა და ტრაპეზს; ემთხვევიან მღვდელ-მთავარსაც ორსავეს მხარეზე და მარჯვენაზე, ხოლო ერთი მეორეს ხელზე და ისევ თვის თვის ადგილებზე დადგებიან. შემდეგ აიღებენ დიდ დაფარნას სიწმიდეთაგან და ძრწოლით მიმოძრავენ წმ. ძღვენთა ზედა და მღვდელ-მთავრის მოდრეკილ თავზე. „მრწამს“-ის დასრულების შემდეგ პირველი ორი უფროსნი მღვდლები მიუახლოვდებენ დაფარნას მღვდელ-მთავარს სამთხვევად, ხოლო შემდეგ გადასცემენ უმცროს მღვდელს, რომელიც დაკეცს და დასდებს ტრაპეზის მარცხენა კიდეზე.

ასამაღლებელთა „მიიღეთ და სუამეთ....“ და „სუთ ამისგან ყოველთა....“ თქმის დროს ყველა თანამწირველნი თავ-მოდრეკით სდგანან. როცა მღვდელ-მთავარი ბძანებს: „პირველად მოიხსენე უფალო, უწმ. და უმართებელესი სინოდი...“, პირველი თანამწირველი იტყვის: „მოიხსენე უფალო, უფალი ჩვენი ყოვლად სამღვდელო (სახელი) ეპისკოპოზი (სახელი ეპარქიისა), რომელი მომადლე წმ. შენსა ეკკლესიასა, მშვიდობით, ცოცხლებით, პატიოსნებით, სიმრთელით, დღეგრძელობით, მართლ მკვეთელობით სიტყვისა შენისა ჭეშმარიტებისათა“. ამის შემდეგ მივა და ემთხვევა მღვდელ-მთავარს ხელზე, მიტრაზე და კვალად ხელზე, თაყვანს ცემს და ისევ თვის ადგილზე დადგება.

თავი მეორე.

მღვდელთა მოქმედების წეს-რიგი ზიარების დროს.

როცა მღვდელ-მთავარი ეზიარება წმ. ხორცსა და სისხლსა იესო ქრისტესა, თანამსახურნიც მოვლენ არქიდიაკვნის ხმაზე რიგით მარცხნიდან და თვითეული იტყვის: «აჰა, მოვალ წინაშე უკვდავისა მეუფისა და ღვთისა ჩემისა“ და თაყვანსცემს, ვიდრე მიწადმდე; შემდეგ ემთხვეკა ტრაპეზს წინიდან და ეტყვის მღვდელთ-მთავარს: „მომეც მე, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, პატიოსანი და ყოვლად წმიდა ხორცი უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი მღვდელს (სახელი). მღვდელ-მთავარი მისცემს ქრისტეს წმიდა ხორცის ნაწილს ხელში, რომელიც ჯვარედინად უნდა ჰქონდეს დაწყობილი (მარჯვენა მარცხენაზე შედებული), ხოლო მიმღები ემთხვევა მღვდელ-მთავარს მარჯვენა ხელზე და ომფორზე მარცხენა მხრით და, მღვდელ-მთავრის სიტყვებზე: „ქრისტე არს ჩვენ შორის“, მიუგებს: „არს და იყოს“...

მღვდ. ი. ფანტხაჯ.

(გაგრძელება იქნება)

---

*) უკეთუ მღვდლათ ხელ დასასმელია ვინმე, როცა დიაკვნები შემოიყვანებენ საკურთხეველში სამღვდელო დიაკონს და ეს თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს, უფროსი თანამწირველი სამ გზის შემოარონინებს მას ტრაპეზის გარეშემო და ანიშნებს ხელით ტრაპეზზე იმ ადგილებს, სადაც ახალ საკურთხმა უნდა ემთხვიოს; მესამე გზის შემოვლის შემდეგ დაადგენს ტრაპეზის წინ სამ გზის თაყვანის საცემად და ამის შემდეგ ანიშნებს, სადაც მუხლი უნდა მოიდრიკოს საღმრთო მადლის მისაღებად. მღვდელ მთავრის მიერ საიდუმლო ლოცვის „საღმრთო მადლი, რომელი ყოველადვე უძლურებათა ჩვენთა ჰკურნებს...“ წაკითხვის წინ, უფროსი თანამწირველი იტყვის: «მოახედენ“ და „კირიელეისონ“-ის გალობის დროს ამბობს კვერეკს. ახალ ხელდასხმულის შესახებ. როცა ამ რიგათ მღვდელთ კურთხევის წესი შესრულდება, უფროსი თანამწირველი მოართმევს სამღვდელო შესამოსელს: ოლარს, სარტყელს, ფილონს და კონდაკს, რომელთაც აკურთხევს მღვდელ-მთავარი. კურთხევის შემდეგ შემოსვენ ახალ ნაკურთხ მღვდელს და ამ დროს ხელს უწყობს მღვდელ-მთავარს უფროსი თანამწირველი. შემოსვის შემდეგ, როცა ახალ ნაკურთხი ემთხვევა მღვდელ-მთავარს მხრებზე, ხოლო ახალ ნაკურთხ მღვდელს თანამწირველნი—ორივე მხრებზე, მოიყვანს მას უფროსი თანამწირველი, დაიდგენს გვერდით და უჩვენებს კონდაკში წასაკითხავ ლოცვებს. წმიდათ ძღვენთა შეცვლის შემდეგ უფროსი თანამწირველი მიართმევს მღვდელ-მთავარს ფეშხუმს ღრუბლითურთ ტარიგის დასასვენებლად. „მამაო ჩვენოს“ დასასრულს, უფროსი თანამწირელივე მიიყვანს ახალ ნაკურთხ მღვდელს მღვდელ-მთავართან და მიატანინებს ფეშხუმს ტარიგითურთ, ხოლო შემდეგ თვის ადგილზე დადგება და ახალ ნაკურთხსაც გვერდში მოიყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი.

—

მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ოჩ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

Დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ**, აგრეთვე **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘᲐᲪ**. **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუსუკაშვილთან. **ᲤᲝᲗᲨᲘ**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ**—ყარაულ ჩხეიძესთან; **ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲨᲘ**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ**—ბლაღოჩინ მაია არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ**.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ აქვს კანტორები: **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** ხანანაშვილების სახლებში და **ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ᲑᲐᲠᲔᲛᲘ მკითხველებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„ᲚᲕᲐᲚᲘ“

გამოვა 1900 წელში ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

იმავე ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, როგორც 1899 წ.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან «ᲚᲕᲐᲚᲘᲡ» მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი (ᲐᲛᲨᲐᲣᲠᲐᲗ. ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ გამოგზავნონ ნაწილნაწილათ.

ხელის მოწერა მიღება თბილისში «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ. დოების კანცელარიაში“ (სასარლის ქ., სათავადაანთ. ქარ.) და თითო «ᲚᲕᲐᲚᲘᲡ» რედაქციაში—არტილერიის ქ., № 5, კ. დეტის კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ეს პატივისცემა კი არა დიდი შეურაცხებაა. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—იმერეთის ეპარქიის სამდედელ. დეპუტ. კრება ქ. ქუთაისში დეკემბრის 15, 16, 17, 18 და 19 რიცხ. 1899 წ.—ინგლის-ტრანსვაალის ომი.—წერილი ყაზანიდან, დრ. ჩრ.-სა.—მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განახლების საქმე —† მღვდელი საქართ. მეფის გიორგი მესამის სასახლის ეკკლესიისა ალექსანდრე მოლოდინაშვილი.—სამრევლო სკოლების მასწავლებმდგომარეობა. ბ. ვაშაძისა

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ და **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜ.** და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡᲖᲔ**: სიტყვა, თქმული ორს თებერვალს, მირქმის დღეს, ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ.—სიტყვა, თქმული 20 თებ., ანჩისხატის ტაძარში, განსვენებულის მღვდელის ალ. მოლოდინაშვილის ანდერძის აგებაზედ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ** ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წესრიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის, რუს. თარგ. ი. ფანცხავას მიერ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **Დ. ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 февраля 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.